სსიპ კოლეჯი
მოდუსი

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

2021

სსიპ კოლეჯი ,,მოდუსის'' შესახებ

სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ ისტორია იწყება 1958 წლიდან. ამ პერიოდიდან ფუნქციონირებდა სახელობო სასწავლებელი, რომელიც მდებარეობდა ქალაქ რუსთავში, ბოსტანქალაქის ქუჩაზე. 1975 წელს სასწავლებელს, იურიდიულ მისამართთან ერთად შეეცვალა სტატუსი და მოიაზრებოდა, როგორც მეტალურგიული ქარხნის საბაზო სასწავლებლი და უშვებდა იმ პროფესიის სპეციალისტებს, რომელსაც საჭიროებდა თავად მეტალურგიული ქარხანა. 1987 წელს ის გამოეყო მეტალურგიას და დაერქვა ქ.რუსთავის მე- 3 პროფესიული სასწავლებელი.
2005 წელს სასწავლებელს კვლავ შეეცვალა იურიდიული სტატუსი და გახდა ქ.რუსთავის პროფესიული „ლიცეუმი“, ხოლო 2007 წლიდან 2008 წლამდე ფუნქციონირებდა, როგორც „ქ.რუსთავის პროფესიული მომზადების ცენტრი“. 2006 – 2007 წლებში მოხდა პროფესიული მომზადების ცენტრის სრული რეაბილიტაცია და მისი თანამედროვე მოწყობილობა-დანადგარებით აღჭურვა. ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად შეიცვალა განსახორციელებელი პროგრამებიც.
2008 წლიდან სასწავლებლის სტატუსი განისაზღვრა, როგორც სსიპ პროფესიული კოლეჯი და დაერქვა სახელწოდება „მოდუსი“. მის ტერიტორიაზე განთავსებულია სამი ძირითადი ნაგებობა: სასწავლო, საყოფაცხოვრებო, სასწავლო საამქრო.
2014 წელს კოლეჯმა გაიარა ავტორიზაცია 15 პროფესიულ პროგრამაზე.
2015 წელს კოლეჯმა განახორციელა 4 მოდულური პროგრამის ავტორიზაცია, ხოლო 2016 წელს დაემატა ორი მოდულური პროგრამა.
2019 წლის 6 მარტს, სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსს“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა – სსიპ კოლეჯი “მოდუსი”.
თანამედროვე ეტაპზე, „მოდუსი“ არის ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი ერთადერთი სახელმწიფო კოლეჯი, რომელიც უზრუნველოფს ახალგაზრდების დასაქმებას საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. კოლეჯი „მოდუსი“ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“ უფლებამონაცვლეს.

სსიპ კოლეჯი ,,მოდუსის''
მისია, ხედვა, მიზანი და დევიზი

მისია:

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს მისიაა დაძლიოს გამოწვევები, გახდეს ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე და ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაიმკვიდრებს რეგიონში წამყვან პოზიციას პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობით და ხარისსიანი განათლების მიწოდებით. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლისთვისაც პრიორიტეტულია ინოვაციური მეთოდების დანერგვა სწავლებაში, გამოყენებადი ცოდნა-უნარების მიწოდება პროფესიული განათლების მსურველთათვის და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი, კვალიფიციური კადრების მომზადება, როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა და პერსონალის თანამშრომლობით შექმნილია პროფესიული სწავლებისათვის ერთიანი სივრცე, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას.

ხედვა:

კოლეჯის ხედვაა, რომ მოდუსი არის ქვემო ქართლის რეგიონის ლიდერი პროფესიული სწავლების განხორციელებაში, რომელიც განვითარებაზე ორიენტირებული, მოქნილი შიდა სისტემის ჩამოყალიბებით,

სწავლების ექსპერიმენტალური მეთოდებითა და ინოვაციების დანერგვით პროფესიული სასწავლებლის სტუდენტსა და მსმენელს აწვდის ხარისხიან განათლებას, იაზრებს სოციალურ პასუხისმგებლობას მათ კარიერულ წინსვლაში და უზრუნველყოფს შრომის ბაზარს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრებით.

მიზანი:

კოლეჯის მიზანია რეგიონში სამოქმედო არეალის გაფართოვება და პროფესიული პროგრამების გამრავალფეროვნება, თანამედროვე სწავლების მეთოდების, მაღალკვალიფიციური პერსონალის და არსებული მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისათვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც იქნება ყველა პირობა პროფესიისთვის აუცილებელი ცოდნის მისაღებად და პრაქტიკული უნარჩვევების გამოსამუშავებლად, რაც თითოეულ პროფესიულ სტუდენტს / მსმენელს მისცემს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და დასაქმების საშუალებას, უზრუნველყოფს მათ პროფესიულ თვითრეალიზაციას და საზოგადოებაში დამკვიდრებას.

დევიზი:

მუდმივი განვითარება

საგანმანათლებლო პროგრამები

ელექტროობა

პროგრამის სახელწოდება	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	12 თვე / 52 კრედიტი (ქართული ენის მოდულით 67 კრედიტი)
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაზო განათლება
პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტროობაში.

სწავლის შედეგი	ელექტროობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს ელექტროობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: ელექტრიკოსად; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; შენობის ელექტრიკოსად; მომმარაგებელ-ელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟედ; დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ; ასაფრენდასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟედ; და მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟედ

www.modusi.ge

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი

სამკერვალო წარმოება

პროგრამის სახელწოდება	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	21 თვე / 99 კრედიტი (ქართული ენის მოდულით 114 კრედიტი)
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაზო განათლება
პროგრამის მიზანი	სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სამკერვალო წარმოებისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აღზრდა, რომელიც შეძლებს, ქალის, მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმლის და სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირებას, მოდელირებას და მასალაში შესრულებას, ასევე, ქართული ეროვნული სამოსის მასალაში შესრულებას და დეკორატიულ გაფორმებას, ტანსაცმლის შეკეთებას, გადაკეთებას და აღდგენას, საკერავი მანქანებისა და თბურ-დანამვითი დანადგარების შერჩევა/გამოყენებას და სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლს.
სწავლის შედეგი	საბაზო პროფესიული კვალიფიკაციით სამკერვალო წარმოებაში პირს შეუძლია დასაქმდეს დიდი, საშუალო და მცირე სიმძლავრის სამკერვალო საწარმოებში, მოდის სალონებში მკერავის და კონსტრუქტორის პოზიციაზე. ▯ ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 13.10; 13.10.0; 14.13; 14.13.0 ▯ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი:7531; 7532, 7533; 7543; 8153;



www.modusi.ge

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი

კულინარიის ხელოვნება

პროგრამის სახელწოდება	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	15 თვე, 80 კრედიტი /ქართული ენის მოდულით 95/
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაზო განათლება
პროგრამის მიზანი	საგანმნათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვა, რომლებიც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადებს სასტუმრო, სარესტორნო მომსახურების, საკვები პროდუქტების კულინარიის სპეციალისტებსა და კონდიტერს.

სწავლის შედეგი	კულინარიის ხელოვნების მიმართულებით კურსდამთავრებულს შეუძლია: 1. განახორციელოს საკვები პროდუქტებისა და ნედლეულის პირველადი და მექანიკური დამუშავება 2. განახორციელოს ნედლეულისა და პროდუქტის თერმული დამუშავება 3. მოამზადოს მარტივი კერძები 4. მოამზადოს ქართული სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები 5. მოამზადოს საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები 6. განსაზღვროს კერძის მოსამზადებლად საჭირო ნედლეულის რაოდენობა 7. განახორციელოს პროდუქტისა და დამხმარე მასალების შეკვეთა და მიღება-განთავსება 8. აღრიცხოს ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტი.

www.modusi.ge

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი

ბუღალტრული აღრიცხვა

პროგრამის სახელწოდება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები
24 თვე / 99 კრედიტი /ქართული ენის მოდულით 129/

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზანი



საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია , უზრუნველყოს ისეთი პროფესიული კადრების მომზადება, რათა შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი შრომის ბაზარს, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენასგარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

სწავლის შედეგი

კურსდამთავრებულს შეუძლია:
შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა
შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები)
აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები
შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები
მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება
აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით
აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა
შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი

www.modusi.ge

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი

პროგრამის სახელწოდება	# ინფორმაციის ტექნოლოგია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	11 თვე / 60 კრედიტი (ქართული ენის მოდულით 75 კრედიტი)
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაზო განათლება
პროგრამის მიზანი	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის კონკურენტუნარიან კადრის აღზრდა; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს და ცოდნას სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების შესახებ, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.
სწავლის შედეგი	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერაში კვალიფიკაციის მქონე სტუდენტს შეუძლია: ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი; დაამოტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები; დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი; დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა; უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება; განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები; გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი; გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელის გამართვა; შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები; მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.



www.modusi.ge

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი

თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი

პროგრამის სახელწოდება	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	12 თვე / 58 კრედიტი (ქართული ენის მოდულით 73 კრედიტი)
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაზო განათლება
პროგრამის მიზანი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მშენებლობის სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება კედლის დაფარვის სამუშაოების მიმართულებით, კერძოდ, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

სწავლის შედეგი	„კედლის დაფარვის სამუშაოებში“ საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შეიძლება დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია ან/და დახურულ სივრცესა და სიმაღლეზე. ის შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობასა ან მის რეკონსტრუქცია-გაძლიერებასთან. მას სამუშაოების შესრულება მოუწევს სხვადასხვა კლიმატის პირობებში. დასაქმების პოზიცია შესაძლებელია იყოს თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების (კედელი, ჭერი და სხვ.) მომწყობი; ▯ ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 43 ▯ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7123; 7131; 7125

www.modusi.ge

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი

შედუღება

პროგრამის სახელწოდება	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	7 თვე / 38 კრედიტი /ქართული ენის მოდულით 53/
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაზო განათლება „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“ ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა;
პროგრამის მიზანი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება შდუღების მიმართულებით.

სწავლის შედეგი	პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: შეადუღოს ლითონის ნაწილები აირისსანთურით, ელექტრორკალით, თერმულინაერთებითანსხვამეთოდებით; გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად; შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით; დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით; შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით; შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედუღების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით; დაადგინოს დეფექტები და წუნები; შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე.

www.modusi.ge

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი

კომპიუტერული ქსელი და სისტემები

პროგრამის სახელწოდება	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	18 თვე / 90 კრედიტი (ქართული ენის მოდულით 120 კრედიტი)
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მიზანი	საგანმნათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრი. კერძოდ: კომპიუტერულ ქსელისა და სისტემების პროფესიული პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.



სწავლის შედეგი	საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის კურსდამთავრებულს შეუძლია: კომპიუტერული ქსელისა და სისტემების მიმართულებით სერვერული ინფრასტრუქტურისგამართვისთვის საჭირო პროცედურების აღწერა; Windows და Linux სერვერული ოპერაციული სისტემის ინსტალაცია; ცენტრალური დირექტორიების სერვისების (Directory Service) ბაზისური ადმინისტრირება; ქსელური მისამართების მართვის სისტემის (DHCP) ბაზისური ადმინისტრირება; დომეინური სახელების სერვერის (DNS) ბაზისური ადმინისტრირება; ფაილური და ბეჭდის სერვერის ბაზისური მართვა; სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგიის ბაზისური გამართვა. Linux-ის საინსტალაციო პაკეტების მართვა; Linux-სა და UNIX-ს ოპერაციული სისტემების ბრძანებების გამოყენება; Linux-ის ფაილური სისტემის მართვა; კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის ბაზისური გამართვა; სტატიკური მარშრუტის კონფიგურირება; დინამიური მარშრუტიზაციის ბაზისური კონფიგურირება; კომუტატორის ბაზისური კონფიგურირება;

www.modusi.ge

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი

სანტექნიკის სიტემების ექსპლუატაცია

პროგრამის სახელწოდება	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	15 თვე / 79 კრედიტი (ქართული ენის მოდულით 94 კრედიტი)
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაზო განათლება
პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრის მომზადებას. კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს შიდა და გარე წყალმომარაგების ქსელების კომპონენტების მონტაჟი და საკანალიზაციო ქსელზე საექსკავაციო, შეკეთებითი და სამუშაოების ჩატარება. სამუშაო სრულდება უსაფრთხოების წესების დაცვითა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებით.

სწავლის შედეგი	აღნიშნული პროგრამისდასრულების შემდეგ სანტექნიკის სიტემების ექსპლუატაციაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

- წაიკითხოს სამშენებლონახაზები;
- შეადგინოს სამშენებლო-სანტექნიკურისქემები;
- მოაწყოს დასახლებული ადგილებისა და შენობების გარე წყალმომარაგების ქსელები;
- მოაწყოს წყალარინებისგარექსელებისადასანიაღვრესისტემა;
- განახორციელოს შიდაწყალსადენისიტემებისმონტაჟი;
- განახორციელოს შიდაწყალარინება;
- განახორციელოს თბომომარაგება;
- განახორციელოს ჰელიოსისტემის მოწყობა.

www.modusi.ge

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი

პროგრამის სახელწოდება	**მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	11 თვე, 57 კრედიტი /ქართული ენის მოდულით 72/
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაზო განათლება
პროგრამის მიზანი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება სატრანსპორტო სფეროში, კერძოდ, მსუბუქი ავტომობილების შეკეთებაში, რომლებიც შესძლებენ ავტომობილის ძრავის დაიგნოსტირებას, აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას და შეკეთებას.
სწავლის შედეგი	კურსდამთავრებულს შეუძლია: მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების, დაკიდების სისტემის საჭით მართვისა და სამუხრუჭე სისტემების, ტრანსმისიის და შიგა წვის ძრავების კლასიფიცირება, შეარჩიოს სათადარიგო ნაწილები, დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები, ჩაატაროს ზოგადი ელექტროტექნიკური და ელექტრონული გაზომვები, წარმართოს საქმიანობა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი წესების გათვალისწინებით, წარმართოს დამკვეთთან ეფექტური კომუნიკაცია. სწავლის შედეგები მსუბუქი ავტომობილის შეკეთების მიმართულებით: მოახდინოს დაკიდების, საჭით მართვის, სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია, წაიკითხოს და გაანალიზოს ბლოკ-სქემები და პრინციპული სქემები, მოახდინოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების, გადაცემათა კოლოფების, წამყვანი ხიდების და მათი ამძრავების კლასიფიკაცია მუშაობის პრინციპის მიხედვით, მოახდინოს შიგაწვის ძრავების კლასიფიკაცია აგებულების, ცილინდრების განლაგების, საწვავის ტიპების და ჰაერის მიწოდების სისტემის მიხედვით. სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „ძრავის შეკეთება“: განახორციელოს ძრავას საწვავით კვების სისტემების, ძრავას მექანიზმების, ძრავას გაგრილება-შეზეთვის სისტემის სერვისი მოახდინოს ძრავას ზოგადი დიაგნოსტირება ამოიღოს და ჩადგას ძრავა.

www.modusi.ge

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი

პროგრამის სახელწოდება	**მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	11 თვე, 58 კრედიტი /ქართული ენის მოდულით 73/
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაზო განათლება
პროგრამის მიზანი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება სატრანსპორტო სფეროში, კერძოდ, მსუბუქი ავტომობილების შეკეთებაში, რომლებიც შესძლებენ ავტომობილის სავალი ნაწილის დაიგნოსტირებას, აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას და შეკეთებას.
სწავლის შედეგი	კურსდამთავრებულს შეუძლია: მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების, დაკიდების სისტემის საჭით მართვისა და სამუხრუჭე სისტემების, ტრანსმისიის და შიგა წვის ძრავების კლასიფიცირება, შეარჩიოს სათადარიგო ნაწილები, დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები, ჩაატაროს ზოგადი ელექტროტექნიკური და ელექტრონული გაზომვები, წარმართოს საქმიანობა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი წესების გათვალისწინებით, წარმართოს დამკვეთთან ეფექტური კომუნიკაცია. სწავლის შედეგები მსუბუქი ავტომობილის შეკეთების მიმართულებით: მოახდინოს დაკიდების, საჭით მართვის, სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია, წაიკითხოს და გაანალიზოს ბლოკ-სქემები და პრინციპული სქემები, მოახდინოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების, გადაცემათა კოლოფების, წამყვანი ხიდების და მათი ამძრავების კლასიფიკაცია მუშაობის პრინციპის მიხედვით, მოახდინოს შიგაწვის ძრავების კლასიფიკაცია აგებულების, ცილინდრების განლაგების, საწვავის ტიპების და ჰაერის მიწოდების სისტემის მიხედვით. სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „სავალი ნაწილის შეკეთება”: განახორციელოს ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის, დაკიდების სისტემის, საჭით მართვის სისტემების, წამყვანი ხიდებისა და ამძრავების სერვისი, მოხსნას და დააყენოს გადაცემათა კოლოფი.



www.modusi.ge

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი

აღმზრდელი

პროგრამის სახელწოდება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

პროგრამის დასრულების შედეგად პირს მიენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები

24 თვე, 116კრედიტი /ქართული ენის მოდულით 146/

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

სწავლის შედეგი

აღმზრდელის პროგრამის დასრულების და უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის სკოლამდელ აღზრდაში მინიჭების შემდეგ პირს შეუძლია:

ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;
ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება;
წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი

მებაღეობა

პროგრამის სახელწოდება	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	16 თვე 85 კრედიტი /ქართული ენის მოდულით 115/
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მიზანი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვა, რომლებიც მებაღეობის სფეროსთვის მოამზადებს კონკურენტუნარიან კადრებს.



სწავლის შედეგი	მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები კურსდამთავრებულს შეუძლია:

„მებაღეობის“ კონცენტრაცია:

დაამუშაოს ნიადაგი
დარგოს და მოუაროს მცენარეებს ღია და დახურულ გრუნტში
უზრუნველყოს დეკორატიული მცენარეების გენერაციული, ვეგეტატიური და ქსენოვეგეტატიური გზით გამრავლება
უზრუნველყოს დეკორატიული ხეების, ხეხილის, დეკორატიული ბუჩქების, კენკროვანი ბუჩქების, ხვიარა მცენარეების, ვარდების სხვლა-ფორმირება
მოაწყოს გაზონი, სარწყავი სისტემა, წყლის სარკეები, ბილიკი, კიბე, მოედანი
დაგეგმოს და განახორციელოსბაღის სხვადასხვა მხატვრული ელემენტებით (ყვავილნარი, ალპინარიუმი, როკარიუმი) მოწყობა.

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი

მებაღეობა (ინტეგრირებული)

პროგრამის სახელწოდება	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	36 თვე 140 კრედიტი /ქართული ენის მოდულით 170/
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მიზანი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვა, რომლებიც მებაღეობის სფეროსთვის მოამზადებს კონკურენტუნარიან კადრებს.



სწავლის შედეგი	მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები კურსდამთავრებულს შეუძლია:

„მებაღეობის“ კონცენტრაცია:

დაამუშაოს ნიადაგი
დარგოს და მოუაროს მცენარეებს ღია და დახურულ გრუნტში
უზრუნველყოს დეკორატიული მცენარეების გენერაციული, ვეგეტატიური და ქსენოვეგეტატიური გზით გამრავლება
უზრუნველყოს დეკორატიული ხეების, ხეხილის, დეკორატიული ბუჩქების, კენკროვანი ბუჩქების, ხვიარა მცენარეების, ვარდების სხვლა-ფორმირება
მოაწყოს გაზონი, სარწყავი სისტემა, წყლის სარკეები, ბილიკი, კიბე, მოედანი
დაგეგმოს და განახორციელოსბაღის სხვადასხვა მხატვრული ელემენტებით (ყვავილნარი, ალპინარიუმი, როკარიუმი) მოწყობა.

ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ გაიცემა დიპლომი, რომელიც სრული ზოგადი განათლების ატესტატს უთანაბრდება

პროგრამის სახელწოდება	# კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	36 თვე / 148 კრედიტი (ქართული ენის მოდულით 178 კრედიტი)
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაზო განათლება
პროგრამის მიზანი	საგანმნათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრი. კერძოდ: კომპიუტერულ ქსელისა და სისტემების პროფესიული პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.
სწავლის შედეგი	საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის კურსდამთავრებულს შეუძლია: კომპიუტერული ქსელისა და სისტემების მიმართულებით სერვერული ინფრასტრუქტურისგამართვისთვის საჭირო პროცედურების აღწერა; Windows და Linux სერვერული ოპერაციული სისტემის ინსტალაცია; ცენტრალური დირექტორიების სერვისების (Directory Service) ბაზისური ადმინისტრირება; ქსელური მისამართების მართვის სისტემის (DHCP) ბაზისური ადმინისტრირება; დომეინური სახელების სერვერის (DNS) ბაზისური ადმინისტრირება; ფაილური და ბეჭვდის სერვერის ბაზისური მართვა; სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგიის ბაზისური გამართვა. Linux-ის საინსტალაციო პაკეტების მართვა; Linux-სა და UNIX-ს ოპერაციული სისტემების ბრძანებების გამოყენება; Linux-ის ფაილური სისტემის მართვა; კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის ბაზისური გამართვა; სტატიკური მარშრუტის კონფიგურირება; დინამიური მარშრუტიზაციის ბაზისური კონფიგურირება; კომუტატორის ბაზისური კონფიგურირება;

CISCO Networking Academy

www.modusi.ge

ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ გაიცემა დიპლომი, რომელიც სრული ზოგადი განათლების ატესტატს უთანაბრდება

შეფასების სისტემა
საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მოდულურ პროგრამებში შეფასების მიმართულება, შეფასების კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები

განისაზღვრება ინდივიდუალურად მოდულში არსებული ჩანაწერების შესაბამისად

კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები

სსიპ კოლეჯი
მოდუსი

სს ,,ენერგო-პრო ჯორჯია”
შპს ,,რუსთავის ფოლადი”
სს ,,რუსთავის აზოტი”
სს ,,ნიკორა ტრეიდი”
შპს ,,ნოვა”
შპს ,,რუსთავის წყალი”
შპს „რუსელოისი“
შპს ,,უნი მოტორსი”
ს.ს “რუსთავი- ლადა”
შპს ,,ომეგა”
შპს ,,საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია”
შპს ,,ატომელექტრონიქსი”
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
სსიპ ,,საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო”
ააიპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის
განვითარების ცენტრი”;
სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო
შპს ,,maika.ge”
შპს ..Rustavi Fashion Studio”
შპს ,,იასამანი”
შპს ,,ბილდმორი”
შპს ,,ჯი ბი ჯი”
შპს „ბაჩურა“
შპს ,,მარიამი 93”
შპს “ელექტრონ 011”
ი.მ მარიამ მათურელი
ი.მ გიორგი ბარამიძე
შპს „არიში“
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,სპექტრი”
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია”
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,მერმისი”
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი”
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,აისი”
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,იბერია”
ა(ა)აიპ პროფესიული კოლეჯი ,,პრესტიჟი”
სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“

კოლეჯის მდებარეობა და საკონტაქტო ინფორმაცია

გეოლოკაცია

საქართველო, ქ.რუსთავი, ჟ.შარტავას გამზ. N4

საფოსტო ინდექსი: 3700

ტელეფონი: (+995) 0341-252041

ელფოსტა: info@modusi.ge

ვებგვერდი: www.modusi.ge

ფეისბუქგვერდი: www.facebook.com/modusi.ge/